თასი 1/2

მატჩი კვლავ გასაჩივრებულია

30 სექტემბერს მოსკოვში დილით ადრე თოვლი მოვიდა, ქროდა სუსხიანი ქარი. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, “დინამოს” სტადიონზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საკავშირო თასის გათამაშებაში განმეორებით ხვდებოდნენ ერთმანეთს მოსკოვის “სპარტაკი” და თბილისის “დინამო”.

მოედანზე ბრძოლამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. თბილისის “დინამოს” თავდამსხმელები ელვის სისწრაფით შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და შექმნეს რამდენიმე კრიტიკული მომენტი. მეკარე აკიმოვმა 5 წუთის განმავლობაში მოიგერია 3 მკვდარი ბურთი. მე-14 წუთიდან უპირატესობა გადადის “სპარტაკის” მხარეზე. დამცველთა შეცდომით სარგებლობს გლაზკოვი, გადის გარღვევაზე და მე-15 წუთზე გააქვს პირველი ბურთი, ხოლო 25-ე წუთზე მასვე გააქვს მეორე ბურთი. 5 წუთის შემდეგ პაიჭაძე ოსტატურად ახერხებს დამცველთა რიგების გარღვევას და კუთხური გარტყმით ათანაბრებს ერთ ბურთს. პირველი ტაიმი დამთავრდა “სპარტაკის” სასარგებლოდ – 2;1.

მეორე ტაიმის მე-6 წუთზე დოროხოვი ფეხებიდან ართმევს ბურთს პროტასოვს. მსაჯი უსოვი ნიშნავს სრულიად გაუგებარ პენალტს. გლაზკოვს გააქვს მესამე ბურთი. თბილისელები გადადიან შეტევაზე. თამაში განუწყვეტლივ “სპარტაკის” კარის წინ მიმდინარეობს. საჯარიმო მოედანზე “დინამოს” თავდამსხმელები სამჯერ წააქციეს, მაგრამ მსაჯისათვის “შეუმჩნეველი” გახდა 3 უდავო პენალტი. მე-? წუთზე ბერეჟნოიმ მეტად მოხდენილი დარტყმით გაიტანა მეორე ბურთი. შეხვედრა მოიგო “სპარტაკმა” ანგარიშით 3:2.

მატჩი კვლავ გასაჩივრებულია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 2 ოქტომბერი, 1939 წ.